



ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

28 მარტი
სუთხაბათი
2024 წელი
№13 (9327)
ფასი 40 თეთრი

საქართველოს მთავრობის განცხადება

საქართველოს მთავრობა გამოხატავს შეშფოთებას ევროკავშირისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამართული ვიზიტებისა და შეხვედრების გამო, რომლებშიც, უკრაინის დელეგაციის შემადგენლობაში, ქართული მართლმსაჯულების მიერ სისხლის სამართლის დამნაშავედ აღიარებული და ძეხნილი პირი, ზურაბ ადგიშვილი მონაწილეობდა.

ზურაბ ადგიშვილი იყო იმ რეპრესიული რეჟიმის ერთ-ერთი შემოქმედელი, რომელიც წლების მანძილზე ფეხქვეშ თელავდა დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს და სასამართლოს დამოუკიდებლობას საქართველოში. აღნიშნულმა რეჟიმმა მრავალი ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა შეინარა.

ზურაბ ადგიშვილი მსჯავრდებული ლეონის ქარხნიას უკანონო ჩამორთმევის, ტელეკომპანია „იბერიას“ ხელში ჩაგდებას, კობა დავითაშვილის გატაცების, მასზე სასტიკი ძალადობის, პატიმრების წამების და „ქართუ ბანკის“ გაკოტრების საქმეებზე, ხოლო ბრალდებული ტელეკომპანია „იმედის“ დარბევისა და მიტაცების, 2007 წლის 7 ნოემბრის ძალადობის და ბუტა რობაქიძის მკვლელობის დანაშაულის დაფარვის საქმეებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ევროკავშირისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ზურაბ ადგიშვილის მასპინძლობა ძირს უთხრის აღქმას, რომ ევროპული ბიუროკრატია სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის ერთგულია.

შესაბამისად, აღნიშნული მოვლენა პირდაპირ ეწინააღმდეგება ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის განსაზღვრული 9 პრიორიტეტიდან პირველივე პრიორიტეტის სულისკვეთებას, რომელიც საქართველოში ანტიევროპული განწყობის გაძლიერების პრევენციას ითვალისწინებს.

ანალოგიურად, ანტიევროპული განწყობების გაძლიერებას ხელს უწყობს ევროკავშირის ტერიტორიაზე სხვა დამნაშავეებისა და ძეხნილების თავისუფალი მიმოსვლა, რომელთა ნაწილზე არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ისინი დღესაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეების წინააღმდეგ მიმართულ უშიშეს დანაშაულებრივ ქმედებებში არიან ჩართული.

საქართველო არის ერთგული პარტნიორი და აქვს მოლოდინი, რომ მომავალში ევროპული სტრუქტურები და ბიუროკრატია გამოავლენენ მეტ გულსხმიერებას და ერთგულებას იმ ფასეულობების მიმართ, რომლებსაც ევროპა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაეფუძნა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

2024 წლის 26 მარტს გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე **ლევან ზაალიშვილი**.

დებუტატებმა ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის №1 დადგენილებაში.

მოისმინეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიში;

დაამტკიცეს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელსა და დაბებზე გადანიშნულების ანგარიში;

ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის №3 კატეგორიის ავტობუსით მარშრუტებისა და სამგზავრო მარშრუტებზე ტარიფების დამტკიცების, მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით ორგანიზებისა და ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი (უფასო) მგზავრობის შესახებ“ 2023 წლის 26 აპრილის №18 დადგენილებაში, ასევე ცვლილებები შევიდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის დამტკიცების შესახებ 2023 წლის 26 აპრილის განკარგულებაში;

იმსჯელეს ბაკურიანში, გოდერძი ჩოხელის II შესახვევი №12-ში მდებარე ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 64.30.04.925) და (ს/კ 64.10.05.502ა) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

ცვლილებები შეიტანეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის შესახებ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №გ-17.17213586 განკარგულებაში;

მოისმინეს გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის **მეჩაბი იოშაშვილის** ანგარიში 2023 წელს განუხორციელებელი მუშაობის შესახებ.

დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს II კვარტალის სამუშაო გეგმა.

პრემიერ-მინისტრი მუნიციპალიტეტის მერებს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ჯიბახიძე** რეგიონების სახელმწიფო რწმუნებულებს და მუნიციპალიტეტების მერებს შეხვდა.

მთავრობის მეთაურმა განხორციელებულ საკადრო ცვლილებებზე ისაუბრა და სახელმწიფო რწმუნებულებს და მუნიციპალიტეტების მერებს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი **ნიკოლოზ ტყეშელაშვილი** და შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული **ლევან ხარაბაძე** წარუდგინა.

შეხვედრაზე რეგიონებში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები განიხილეს და ცალკეულ მუნიციპალიტეტებში არსებულ საჭიროებებზე იმსჯელეს. პრემიერ-მინისტრმა სახელმწიფო რწმუნებულებს და მუნიციპალიტეტების მერებს მიმდინარე და განსახორციელებელი პროექტების მიმართულებით სრული მხარდაჭერა აღუთქვა.

გუბერნატორებმა და მერებმა მთავრობის მეთაურისგან კონკრეტული დავალებები მიიღეს.

21 მარტს ჟურნალისტიკის დღე აღინიშნა გვილოცავენ პროფესიულ დღეს

21 მარტს საქართველოში, ჟურნალისტიკის დღე აღინიშნა. საქართველოს სახალხო დამცველმა **ლევან იოსელიანმა** ქართული მედიის წარმომადგენლებს ქართველ ჟურნალისტთა დღე მიულოცა და მათ პროფესიულ წინსვლას და განვითარებას უსურვებს.

სახალხო დამცველი განსაკუთრებულად უსვამს ხაზს თავისუფალი და კრიტიკული მედიის არსებობის მნიშვნელობას ქვეყნის დემოკრატიული განვითარების, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში და მიუთითებს ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე დაიცვას ჟურნალისტთა უფლებები, არ დაუშვას მათ საქმიანობაში ჩარევისა და ხელშეშლის ფაქტები.

ქართული ჟურნალისტიკის დღე 21 მარტი საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ერთობლივად დაანესეს 1993 წელს. სწორედ 1819 წლის 8 მარტს, ახალი სტილით 21 მარტს გამოვიდა პირველი ქართული გაზეთის პირველი ნომერი.



რუმინეთის ელჩი ბორჯომში



ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **გიორგი შაბაძე** და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ნიკოლოზ ქიქნაძე** რუმინეთის ელჩს **რაზვან როზნედუს** შეხვდნენ.

შეხვედრაზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, დიდი ბრიტანეთისა და რუმინეთის საელჩოებისა და საქართველოში ნატო-ს ალიანსის ოფისის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა მუნიციპალიტეტში არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ ვითარებაზე.

შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო ქვეყნებს შორის პარტნიორულ ურთიერთობებს და სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობას; აღინიშნა, რომ დიდი ბრიტანეთი და რუმინეთი საქართველოს მეგობარი ქვეყნები არიან.

ლონისძიება მერაბ კოსტავას სახელობის სკვერში გაგრძელდა, ტერიტორიაზე განთავსდა მოძრავი საელჩო, სადაც დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ მომდევნო 2 წლის განმავლობაში, საქართველოში განსახორციელებელ პროგრამებს და პროექტებს.

ინფორმაციისთვის, დიდი ბრიტანეთი და რუმინეთი ნატოსა და საქართველოს შორის საკონტაქტო საელჩოებად 2 წლის ვადით აირჩია. საკონტაქტო საელჩოების ქსელი 90-იანი წლების დასაწყისში დაარსდა, როგორც ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის მხარდაჭერის ფორმა. საკონტაქტო საელჩო პრაქტიკული და ხელშეწყობი ორგანოა ნატო-ს ალიანსსა და მესამე ქვეყნებს შორის ორმხრივი კონტაქტებისა და ურთიერთთანამშრომლობის დასამყარებლად. მისი ძირითადი ამოცანაა საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნების განხორციელება საჯარო დიპლომატიის გამოყენებით.

უნწყებათაშორისი შეხვედრა

სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ ორგანიზებით **უნწყებათაშორისი შეხვედრა** გაიმართა.

შეხვედრაზე ბაკურიანში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები განიხილეს.

წყალმომარაგების კომპანია მიმდინარე წელს წყლისა და წყალარინების პროექტირება-მშენებლობის მასშტაბურ პროექტებს იწყებს. დაგეგმილია წყალმომარაგების ახალი ქსელის, მაგისტრალური მილების, რეზერვუარების, წყლის სათავე და გამწმენდი ნაგებობების, ასევე სატუმბო სადგურის მოწყობა, გეგმავს.

შეხვედრის ფორმატი მიზნად ისახავდა დაგეგმულ და მიმდინარე პროექტებში ჩართული ორგანიზაციისა და კომპანიების სრულ კოორდინაციასა და შესასრულებელი სამუშაოების თანმიმდევრულობას.

აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის; სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის, ბორჯომის მუ-



ნიციპალიტეტის საკრებულოს, ახალციხის, ადიგენის, ბორჯომისა და ასპინძის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს; სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“; საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის; საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის; საკომუნიკაციო ქსელებისა და კონტრაქტორი კომპანიების წარმომადგენლები.

გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია-გაფართოება და წყალარინების ქსელის მშენებლობა.

ამასთან, ბაკურიანში საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, გზების რეაბილიტაციის პროექტების განხორციელებას

სტადიონის მშენებლის კვალიტატივს იწყებს

ბორჯომში, ჯვარცხელის სახელობის ცენტრალური საფეხბურთო მოედნის სრული რეაბილიტაცია იწყება.

სამშენებლო სამუშაოები 1 აპრილიდან დაიწყება და 18 თვეს გაგრძელდება. პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია არსებული შენობის რეკონსტრუქცია კეთილმოწყობის სამუშაოები, რომელიც სრულდება და კაპიტალურ უმაღლესი ლივის სტანდარტებს, რეაბილიტაციის შედეგად მოწყობა: გასახლეობის, საკონფერენციო დარბაზი, ჟურნალისტების, ექიმის, დელეგატების, ფეხბურთელების გასახლეობის, მსაჯეთა ოთახი, სასაბავშვო და



სველი ნერტილები, ლიფტები, განხორციელებული ტრენინგების მოწყობა შესაბამისი გადასურვითა და ლოჯიკით. მუშაობა სრულად ადაპტირებული იქნება მშპ პირებისათვის.

კაბილე და გედი დაქოქვით... გაიქცა მისი პოლიტიკოსი... გაიქცა მისი პოლიტიკოსი...

კაბილე და გედი დაქოქვით

„მხოლოდ საკუთარ საქმეს და მდგომარეობაზე მოფიქრალი, კვაყნის მხარე“ - გედივან ფოფხაძე, როგორც მას საკუთარი მეგობარი - ნიკა გვარამია მოიხსენიებდა, დღეს უკვე გვარამიას გუნდს შეუერთდა. გედივან ფოფხაძემ დაიწყო ის უხეში ეპითეტი, როცა გვარამიამ ფოფხაძე გენიტალიად მოიხსენია მხოლოდ იმის გამო, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით ფოფხაძე აცხადებდა, რომ გრიგოლ ვაშაძის მოგების შემთხვევაში, საქართველოში სამოქალაქო ომი იქნებოდა.

ერთ დროს ინტელექტუალური კლუბის „რა, სად, როდის?“ წევრების-გვარამიასა და ფოფხაძის გზების გადაკვეთა, სავარაუდოდ, იმით არის განპირობებული, რომ „ბრინჯაოს მოაზროვნის“ სტატუსის მქონე ამ ორმა ადამიანმა, განჭვრიტა, რომ ამ არჩევნებში ერთმანეთი სჭირდებოდათ. გედივან ფოფხაძე უფუნქციოდ იყო დარჩენილი და **პაპა გვარამიას** შემდეგ სად წავიდოდა, თუ არა გვარამიასთან.

ფხაძე. გედივან ფოფხაძე საქართველოს პარლამენტის მერვე მოწვევის წევრი იყო „ბიძინა ივანიშვილი - „ქართული ოცნების“ სიით, იყო მეცხრე მოწვევის პარლამენტის წევრიც, ისევე „ქართული ოცნებიდან“. თუმცა „ოცნება“ 2019 წელს დატოვა და ბესელიას ფხაძე.



ნაციონალურ პარტიის წევრები ნიკა გვარამია და გედი ფოფხაძე.

მართალია, ნიკა გვარამია საკუთარ პოლიტიკურ გუნდში, სახელწოდებით „ახალი“ სრულიად ახალი სახეების შეკრებას აანონსებდა, მაგრამ გედივან ფოფხაძის შემთხვევაშიც, ძველი სახე გამოუვიდა. გვარამიას გუნდში არც გვარამია აღმოჩნდა ქართული პოლიტიკისთვის ახალი და არც გედივან ფოფხაძე.

ნაციონალურ პარტიის წევრები ნიკა გვარამია და გედი ფოფხაძე „ქართული ოცნების“ დატოვებისთანავე გამოავლინა. მართალია, „ოცნებას“ უწინებდა პრინციპებსა და ღირებულებებთან დაშორებას, „ნაციონალიზაციას“, ასევე, უწინებდა იმას, რომ „ოცნებამ“ შეინარჩუნეს ნაცების დროინდელი პროკურორები, მოსამართლეები, ჩინოვნიკები, მაგრამ იყო თუ არა ნიკა გვარამია ნაცების დროინდელი პროკურორი, ალბათ, ამის დადგენა გედივან ფოფხაძემ შეძლო. ფაქტია, მან ჯერ **ნიკა გვარამია** დაიკავა, შემდეგ უკვე ნიკა გვარამია, რომელიც ასლან აბაშიძის ქმედებას შეადარა, რომელმაც ჩოლოქის ბიდი ააფეთქა, ნიშნად იმისა, რომ, გედივან ფოფხაძის თქმით, არ სურდა ევროპა და დემოკრატია.

გვარამია-ფოფხაძის ტანდემს „უცნაურ ავთენტულად“ აღიქვამს „გირჩის“ წევრი **ალექსანდრა რაქვიანი** და თვლის, რომ არ იცის, რა არის გვარამიას გუნდთან ცალკეული ადამიანების გაერთიანების მოტივაცია - მეგობრობა, ფული, თუ კიდევ სხვა რამ, ფაქტია, ეს არაა იდეებზე დაყრდნობილი გაერთიანება.

„ნაციონალური მოძრაობის“ დანაშაულები - ასე აფასებს პარლამენტარი **ალექსანდრა რაქვიანი** ნიკა გვარამიასა და გედივან ფოფხაძის გაერთიანებას, რომელთაც ჰგონიათ, რომ ქართველი ხალხი გულმავნიცა და ვერ შეაფასებს იმას, თუ ვის წარმოადგენს გვარამია, ან გედი ფო-

ფხაძე. ახლად შექმნილ პარტიაში განეწვიანდა, რომელიც სულ რამდენიმე თვეში დატოვა. ამის შემდეგ იგი **მარიამ ჯაშის, ლევან მოვიჩაიშვილის, გეგა ნაცვლიშვილის** პარტიას შეუერთდა, რომელიც მალევე დატოვა. 2021 წელს სოლიდარობა გამოუცხადა „ნაციონალური“ მამინდელ თავმჯდომარე ნიკა მელიას მის მიმართ განხორციელებული სამართლებრივი დევნის გამო და შეუერთდა სააკაშვილის გათავისუფლების მიზნით შექმნილ აქციას.

შარშანდელი 7-8 მარტის მოვლენებს იხსენებს **ნიკა გვარამია**, როდესაც გედივან ფოფხაძე იდგა **სარკი კაპანაძისა** და სხვა ნაცებთან ერთად და უყურებდნენ იმ უბედურებას, რაც რუსთაველზე, მთავრობის სახლის წინ ხდებოდა.

„მარტის პროტესტის დროს გედივან ფოფხაძე და მისი მეგობრები აპრობირდნენ, დამთავრებულია ამით საქმე, მაქსიმუმ, შეიძლება, ერთი თვე-თვენახევარი გაძლოს ამ ხელისუფლებამო. ეს ნიშნავს, რომ გედი ფოფხაძე დასავლეთიდან იმართება, ან პირიქით, გადამირებულია იმ ძალების მიერ, რომლებიც

დგანან გვარამიას უკან. გედი ფოფხაძეს ეგონა, პოლიტიკოსი იყო, როდესაც ის შეათრია ბიძინა ივანიშვილმა „ქართულ ოცნებაში“, დაიჯერა თავისი პოლიტიკოსობა.

„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი **პაპა გვარამია** ფორ.გესთან საუბრისას აცხადებს, რომ გედივან ფოფხაძე არანაირად არ გააძლიერებს გვარამიას გუნდს, რადგან ჯერ გვარამია ეყოფა იმ გუნდს ჩასაძირად, ახლა უკვე ფოფხაძეც დაემატა. საზოგადოებაში არანაირი ნდობა და მხარდაჭერა ამ ადამიანებს არ აქვთ.

„გედივან ფოფხაძე არანაირი პოლიტიკური სახე არ ყოფილა და არც დღეს არის. 32 წელი შესრულდა, რაც საქართველოში პოლიტიკურ პროცესებს ახლოდან ვაკვირდები, 1992 წლის ოქტომბრიდან პარლამენტის წევრი გავხდი და ამ ხნის განმავლობაში დავინახე, რომ, როგორც წესი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ადამიანები ამა თუ იმ გუნდში მოხვედრის გადამწყვეტილებას პირადი

ურთიერთობებისა და ანგარების გამო იღებენ. არავითარი პრინციპები და პოლიტიკური თუ წინაპრივი იდეალები არ ანაზღაურებს. დაახლოებით ეს იგივეა, ადამიანი რომ ეძებს სამსახურს და ყველაფერზე თანახმაა, ოღონდ გარკვეული შემოსავალი ჰქონდეს. ზუსტად იგივეა, როცა კალენდრის კომპანიის სოციალური პოლიტიკოსები არიან ხან ერთთან, ხან მეორესთან. - **ალექსანდრა რაქვიანი**.

მისივე თქმით, თავის დროზე „გირჩი“ პარლამენტში შევიდა ეპატაჟური ციკვის შედეგად. ისინი ავიდნენ ატოკში, ჩინაბდეს შარვლები, გაიძივლეს უკანალები, მიუძვირეს იქითა მხარეს და შედეგად აირჩიეს პარლამენტში, მაგრამ ეპატაჟური ციკვი შეიძლება 1-2% პროცენტში მიიღოს ადამიანმა საქართველოში, როგორც კოლონია. როდესაც ლაპარაკია 5 პროცენტზე ბარიერზე, ასეთ სახეებს, როგორიცაა გვარამია, გედივან ფოფხაძე, არანაირი პოზიტიური წვლილის შეტანა არ შეუძლიათ.

მანანა ნოზაძე
გაზეთი „საპარტიოლო რეპორაჟი“ №30,
13 მარტი, 2024 წელი.



გასულ კვირას შეტყობინება მივიღეთ, სადაც გაზეთ „ბორჯომის“ შესახებ მწერდნენ, რომ გაზეთზე პირდაპირ აისახა მერიის მიერ აღმოჩენილი მხარდაჭერა და დაფინანსება. წლების განმავლობაში იყო იმაზე საუბარი, რომ ბორჯომელებისთვის დიდი მნიშვნელობის და ისტორიის მქონე გაზეთი „ბორჯომი“ სწორედ იმ დღეებში დაიწყო, როდესაც მთელი ქვეყანა დაფინანსდა და ფერხით. მთელი წლის განმავლობაში რედაქციის უდიდესი ძალისხმევითა და საზოგადოების დიდი მხარდაჭერით შევქმნილ მთელ რედაქციამ, თქვენამდე, ასობით ხელმოწერამდე ლამაზი ფერხითა და შინაარსიანი წერილებით მოგვეტანა გაზეთი, იმ ერთგულ მკითხველამდე, რომლებიც ყოველი ნომერის გამოსვლას მოუთმენლად ელოდებიან.

გვესმის ყოველი მხრიდან, გვწერენ, რომ ეს ღირსეული გამარჯვების მოპოვებაა, რასაც პირნათლად მოვალეობის შესრულება მოჰყვება.

გაზეთზე მამინვე აისახა, მიღებული ფინანსური მხარდაჭერა და სხვა სფეროებში რატომ არ ვხედავთ იგივესო, გაკვირვებული მეკითხებოდნენ ჩვენი მკითხველები, რომლებიც პასუხს ისევე ვეძებდით. პასუხი მარტივი და ლია, დიდი მნიშვნელობა აქვს გუნდის სწორად მართვას, თითოეული გახარჯული თეთრის სწორი მიმართულება, რაც უშუალოდ გაზეთის განვითარებასა და პოპულარიზაციას ემსახურება. აღარ მინდა დავუბრუნდე გაზეთის უახლესი წარსულიდან ფრაგმენტებს და ახლა მხოლოდ მომავალი ნაბიჯებისკენ ყურებას ვარჩევთ.

სიხარულის განცდაა, როდესაც ამდენ თანაქალაქელს გამარჯვების შეგრძნება აქვს. ერთიანობა ხელმოწერების, კომპანიების მხრიდან გვერდით დგომის იდეით, ნამდვილად ბევრი დაბრკოლების გადალახვა შესაძლებელი. მადლობის თქმით არ დაიღვრა რედაქციის წევრები გულშემატკვრებისადმი. თქვენი სიტყვები ჩვენთვის ფასდაუდებელია. პატივისცემისა და სიყვარულის გამოხატულებაა.

გახსოვდეთ, რომ ყოველ სიტყვას „სიტყვების სკივრში“ გულმოდგინედ ვინახავთ და ვუფრთხილდებით მათ. სიტყვის ძალა ყველაზე მეტად თქვენ მკითხველებმა და ჩვენ უფრთხილდებით კარგად ვიცით.

ნიკა იანვარაშვილი

ნარმატებული კომპანია ქართულ ბაზარზე

გადალი სოციალური პასუხისმგებლობა

რამდენიმე წლის წინ ნამცხვრისა და პიცის სახლი გორჯომში გაიხსნა და ერთგული მომხმარებლები გაიქცა. იგი სასიამოვნო სიხარულითა და უსვლელად გაიქცა, რომელიც გორჯომის მოსახლეობას არაფერს არ ატოვებდა. როგორ გაიქცა გორჯომის მოსახლეობა, ამაზე ქალბატონი **ლალი** სამსონიძე **SL Company-ის** დამფუძნებელი და დირექტორი მოგვითხრობს.



სიყვარული დაიმსახურა?

მათი წარმოება სიხარულითა და კრეატიული ინიციატივებით გამოირჩევა ქართულ ბაზარზე, როგორც ქალბატონი ლალი წერენ, იგი ყოველთვის, მესხეთის სიყვარულის სადარაჯოზე დგას.

ნამცხვრისა და პიცის სახლი მალევე ხარისხითა და პროდუქტზე ფასების ხელმისაწვდომობით ყოველდღიურად ახარებს ათასობით მომხმარებელს. - ჩვენი ფუნქციების სურნელი მთელ ქუჩაში გავცრელდა, - ამ შესანიშნავი წინადადებითა და გაზიარებული ფორმებით ოფიციალური ვებგვერდიდანაც კი ნამდვილად იგრძნობდით ტკბილეულის სურნელს.

სასიამოვნო ამბავი სწრაფად და ძალიან მალე გავრცელდა, როდესაც ნამცხვრის სახლმა ხრამუნას - ეკონომბატონის გაყიდვა დაიწყო. ხარმობის მთავარი სურვილი ყველა ოჯახისთვის ხელმისაწვდომ ფასად გამოცხადდა უგემრიელესი სხვადასხვა სახეობის პური გახლდათ. მხოლოდ 80 თეთრად. გამორჩეული დღე იყო, როდესაც კომპანიამ მსურველებზე პური სახარმოდან სრულიად უსას-

ყიდლოდ გასცა. დიდი გამოხმაურება მოჰყვა ინიციატივას, რომელიც ნამდვილი საგაზაფხულო საჩუქარი გახლდათ ქალბატონებისთვის და არა მარტო მათთვის, კონდიტერიის მოყვარულებისათვის ერთვითან უფასო სასწავლო კურსზე გამოცხადებულ შეთავაზებას. სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, როგორც განცხადებამა აღნიშნული. შეირჩევა ყველაზე მოწინავე ხუთი კურსდამთავრებული და გახდება ნარმატებული კომპანიის ღირსეული წევრი. - **ქალბატონო ლალი, მოგვიყვით ნარმატებული კომპანიის შესახებ, რომელმაც მომხმარებელთა ნდობა**

დაიმსახურა?

- დავიწყეთ მცირე სახარმოდით, სადაც მუშაობდა მხოლოდ 2 კონდიტერი და დღეს უკვე კომპანიის დასაქმებული ჰყავს 120 ადამიანი. გვაქვს ერთი ცენტრალიზებული სახარმო, პური-ფუნთუშეული, გაყიდვით ცომის მიმართულება და საკონდიტრო ხაზი, ვმუშაობთ 12-საათიანი დატვირთვით. ჩვენი პარტნიორები არიან მსხვილი კომპანიები, როგორც სასტუმროები ასევე სუპერმარკეტის ქსელები.

ნარმატების მისაღწევად უმთავრესია შრომა. მის გარეშე წარმოუდგენელია. მოტივაცია მოგვცა უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობამ. ევროპის ქვეყნებს წელნიანდში რამდენჯერმე ვსტუმრობთ და თითონაც ვგსტუმრობენ ევროპაში არსებული ნამცხვარი კომპანიების, სისტემატურად ვმართავთ სემინარებსა და მასტერ-კლასებს.

ადამიანების პროფესიისადმი სიყვარული, ხარისხიანად საქმის კეთება

უზრუნველყოფს ნარმატებულ საქმიანობას.

მისაბაძია კომპანიის მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა, ჩართულობა სოციალურ აქტივობებში, განსაკუთრებით მრავალმხრივად ოჯახებისათვის, საქორების მქონე პირებისათვის პურის უფასოდ მიღების შესაძლებლობის აქციები და უშუალოდ სტუდენტებზე მორგებული დასაქმების პროგრამა.

დამფუძნებელი საკადრო დეფიციტზეც გვესაუბრა. აღნიშნა, რომ სწავლა ძალიან ძვირი ღირს, სწორედ ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ვისაც დასაქმება სურს და ვერ სწავლობენ, თავად შეასწავლიან და დაასაქმებენ შერჩეულ კადრებს. ათეულობით შესული განაცხადიდან უახლოეს ხანში კადრებს შეარჩევენ და დაასაქმებენ კიდევ.

- 11 წელი თქვენთვის ერთგულეაში გაგატარეთ. ბევრი გამონგვეთ და რთული გზით მოვიტანეთ აქამდე ის რაც გაგვარჩია. მაღლობ თითოეულს ვინც გვედგინა და ვისაც ვეამაყებით ჩვენ საყვარელ მესხეთში.

გელოდებით სიყვარულით, - გვითხრა ქალბატონმა ლალიმ. კომპანიამ გაზაფხულის პირველი დღესაც არ დაწყებდა გული მოქალაქეებს და 15% პროცენტის ფასდაკლება შესთავაზა ტორტების სრულ ასორტიმენტზე. ამჯერად, **SL Company-ის** პროდუქციის დაგეგმვება შეგიძლიათ ბორჯომში, ახალციხეში, ახალქალაქში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთსა და გორში.

ნიკა იანვარაშვილი

ბამობვეხმარეთ!

მე ყველაფერი მახსოვს, არა კალაღობას!!!

ძალადობაში იგულისხმება, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ძალადობა. ზოგს ძალადობა მხოლოდ მოკვლა, ფიზიკური შეურაცხყოფა და უხეში სიტყვები ჰგონია. ძალადობაა, როცა სადმე არ უშვებ, რადგან გინდა სულ შენს გვერდით იყოს. ძალადობაა, როცა იგი ჩაცმა-დახურვას აიძულებს, როგორც შენ გსიაძიონებს. ძალადობაა!!! მოკლედ, ყველაფერი ძალადობაა, რასაც ადამიანს ძალით, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ აკეთებინებ. ძალადობა ქალზე, ბავშვზე, კაცზე მხოლოდ ვერსემდგარ, თავად ძალადობასა და უსიყვარულობაში გაზრდილ ადამიანებს შეუძლიათ. კარგად დააკვირდით მოძალადეებს, როგორი სანაყალი, კომპლექსიანი, ვინრო თვალსაწიერის მქონე არსებები არიან.

ოჯახში ძალადობა სერიოზული, ფართოდ გავრცელებული ფორმა მსოფლიო მასშტაბით და საკმაოდ მწვავედ დგას საქართველოშიც. მისი რაოდენობა ყოველწლიურად მზარდია. მოძალადე უმეტესწილად მამაკაცია, მსხვერპლის როლში კი ქალები არიან. ეს ალბათ იმიტომაც, რომ ბევრ ერში და ეროვნებაში არსებობს ნარმოდგენა ოჯახში მამაკაცის დომინანტური როლის შესახებ. ამ როლის განსამტკიცებლად ფსიქიკურად არაჯანსაღი ადამიანები (რაიმეზე დამოკიდებული) ხშირად მიმართავენ ძალადობას ოჯახის სხვა წევრების მიმართ, იქნება ეს ქალი, მოხუცი თუ ბავშვი.

მხარის მიერ საზოგადოების ინფორმირებულობის ასამაღლებლად განხორციელებული ინტერვენციები თანდათან იწვევს ქცევის ცვლილებას, თუმცა ოჯახში ძალადობა ჩვენი დროის ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ გამოწვევად მანაც რჩება. ის ცოდნა და ინსტრუმენტები, რომლებიც ბოლო ათწლეულის განმავლობაში ამგვარი ძალადობის აღმოფხვრისთვის შემუშავდა, კიდევ უფრო სისტემატურად და ეფექტურად უნდა იყოს გამოყენებული.

ეს ჩემთვის ძალზე სენსიტიური თემაა... თავად ვიყავი ოჯახური ძალადობის მსხვერპლი (მეუღლის მხრიდან) წლების წინ და ვიყავი ერთ-ერთი, ვინც დღემდე ხმა მხოლოდ ერთი წლის წინ ამოვიღე. ამის ბიძგი კი იმდამისეული სიზმარი იყო - მძაფრი და საშიშლად ცხადი... საჯაროდ ამოთქმაც მერე ასეთი იყო ჩანახატად: „არ ვნერ იმის გამო, რომ სიბრალული იგრძნონ ადამიანებმა,

საწილის ქვეშ ბავშვს ვტენი, მეორეში მე ვძვრები... ვცახცახებ... ცოცხალი ხანში იმის მისი გაცოფებული ხმა, გადიან და უბნებთან, რომ არ აჯივინ არის... არ უფერებს და შემობრის... ვხედავ მის ფეხებს, როგორ უახლოვდება ჩემ საწილს და... არ ვიცი, რა მომდის, შიშისაგან ეს-ესაა უნდა დავკარგო გონება... თუმცა დედობრივი გრძნობა მანაც აღმტებულა მოშეც კი, და თუ რამეა, ბავშვი უნდა დავიცვა, როგორც შევძლებ ან სადამდეც შევძლებ... კიდევ ერთი-ორი ნაბიჯი და ისე ხმამაღლა ვსუნთქავ, ეს-ესაა გაიგებს, გვიპოვის და... გამეღვიძა! ოფლში ვინსურები... გული ლამის ამოვივარდეს... ვნერ ახლა ამხელა ტექსტს და ისევ ის მდგომარეობა მაქვს შინაგანად, ისეთივე სიმძაფრითა და სიცხადით... თუმცა, ეს სიზმარი მხოლოდ ერთი ნაგლეჯია იმ უზარმაზარი, ვეებრთულა განცდილედინ - ერთი პანანკინტელა ნაგლეჯი მხოლოდ... უამრავი ახლოებული ნაიკითხავს ახლა ამ წერილს, ვინც შემსწრე იყო ჩვენი ცხოვრების ისტორიიდან... ისეთებიც, ვისაც თუ არ უნახავს, გაგებული მაინც აქვს.

არ ვიცი, რა ძალამ მომცა ახლა ამის გამბედაობა, რომ ეს ყველაფერი დამენერა... ეს მხოლოდ ერთ-ერთი მორიგი სიზმარი წლების წინ განცდილ-გადატანილიდან და რამდენი ასეთი ტკივილიანი დღე მახსოვს. ცხადია, 13 წლის თანაცხოვრების განმავლობაში... ან რამდენი სიზმარი ამ 13 წლის მანძილზე... უფს!...

ყოველ საკუთარ თავთან მართლდარწინასა რომ უკუაღვებ იმ მოგონებებს და სხვა რამეზე გადავყავს ფიქრის გორგალა, სიზმრად ამას ხომ ვერ ახერხებ...



მართალია, დღეს უკვე ღიად და ბევრს საუბრობენ ქალთა მიმართ ძალადობაზე და ეს, რა თქმა უნდა, კარგია, „ჭირთა თქმა“ აუცილებელია იმისთვის, რომ პრობლემის სათავე ვიპოვოთ და გამოსავალი მოვებებოთ; თუმცა, უმეტესობა, ვისზეც იძალადეს ან ძალადობენ, იშვიათად იღებს ხმას - დუმის მანტიით სარგებლობს. ამასაც თავისი მიზეზები აქვს - შიში - შემდგომში უარესი ძალადობისა - ან დაუცველობა შენაინის მხრიდან სოციალურ გარემოში აზრის გამო, რადგან საზოგადოების დამოკიდებულების მხრივ ვერ კიდევ არსებობს გამონკვევები (მაგ. ზოგიერთს ვერ კიდევ სჯერა, რომ ეს შეიძლება გამართლებული იყოს გარკვეულ გარემოებებში). მოძალადეები ის მშობლებიც არიან, - „ამ ერთხელ მოითმინე“, „ხალხი რას იტყვის“, და აუბედურებენ თავიანთ შვილებს, ამიტომ, მსგავსი შემთხვევების გამოვლენის კუთხით ვერ კიდევ გამოწვევად რჩება პოლიციისთვის დროული შეუტყობინებლობის საკითხი.

ძალადობა ის პრობლემაა, რომლის მოგვარებისთვისაც სახელმწიფომ სახელმწიფომ ლონისძიებები უნდა გაატაროს. ამისთვის მნიშვნელოვანია გადავხედოთ ჩვენს „ლიბერალურებს“ და „ფასულობებს“, ვუნალოთ გაუნათლებლობასა და სიბნელეს, შევქმნათ უფრო მეტად პუმანური გარემო, მაცხოვრის სწავლების შესაბამისად, - მეორე ადამიანს მოვეცეთ ისე, როგორც ჩვენ გვინდა მოგვეცენენ, რომ ნატვრად არ დავგრჩეს მხოლოდ - „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“... მსხვერპლის დამცავი მექანიზმების რეალიზება შესაძლებელია გავხადოთ მეტი ქმედითი ნაბიჯებით, მეტი ძალისხმევით და უფრო მძლავრად ავამოქმედოთ კანონი, რომელიც მსხვერპლს დაიცავს, რომ ჩვენ გვერდით დამცირებული, შეურაცხყოფილი ადამიანები აღარ გვეგულბოდეს ან ფაქტური შემთხვევები არ გვედოს წინ, რადგან ხშირად მსხვერპლს კანონი ვერ იცავს (ამის მაგალითები მრავალია).

მინდა უბრალოდ თანაგანცდა ჰქონდეთ“ ჩემნაირ დღეგამწარებულებს კი მაგალითი მივცე, რომ ხმა ამოიღონ, არ შემინდნენ, დაგმონ და გაემიჯნონ ძალადობას ნებისმიერი ხერხითა და კანონით!

ვნერ ახლა ამას და თითები თირის, გულის გამაღებელი ბავშვი ყურებში მესმის და მართალია ვიცი, რომ უკვე აღარ ვარ ირეალურში, აღარც ის უსუსური, დაუცველი, მაგრამ მაინც მკლავს და მტანჯავს იქ - სიზმარულში იმ სიცხადით განცდილი და რა ვქნა...

მახსოვს, ერთხელ ერთი ამბავი ავგონე ერთ ცნობილ ადამიანზე, რომელიც წლების შემდეგ ძალიან დაეფიქრა და საჯაროდ ისაუბრა ოჯახურ ძალადობაზე (აქაც მეუღლის მხრიდან). მაშინ ბევრი კიცხავდა, ამდენი წლის მერე რაღა დრო იყო ამის მოსაყოლოდ, მაი ურთიერთობის ისტორიას... ზუსტად არ ვიცი მე, მაგრამ ჩემს საკუთარს კი ვიტყვი: - დროს არ მაქვს ის ტკივილი! ის შენმა მუდამ, ვიდრე არსებობ, ვიდრე ცოცხალი ხარ... უბრალოდ ილექება შიგნით... და დროდადრო გასხენებს თავს... არ, სიზმარს ხომ მაინც ვერ გაექცევი... 13 წელი გავიდა განქორწინების შემდეგ და... არ ყოფილა საკმარისი იმ ყველაფრის დასაინყებლად... კიდევ გავა ალბათ 13 ან მეტიც... სადამდეც მიწერია სიცოცხლე და... ეს სულ ჩემში იქნება... ვიდრე მახსოვრობა აქვს გონს...

და უნდა მიუბრუნდე სიზმარს, რატომაც და ვინცე და საიდანაც და ვინცე...

- ღამე... მოგვედეს მე და ჩემ შვილს მამამისი... გააფთრებული... გაავებული... გამხეცებული... ღამეა ბნელი... ბავშვი პატარაა და ხელი მაქვს ჩაჭიდული... ვერ მორბის ისე... მივათრევ... ხელს საშიშლად ვუჭერ და თრის... მაგრამ იმდენად დიდია გაქცევისა და თავის დაღწევის სურვილი მისგან, რომ... როგორცაც მომყვება თავისი პატარა ფეხებით... ავრიზარტ ჩვენი მომდევნო ბინის საფეხურებზე (შეიდსართულიანია) - თითქმის გვეწევა, გვესმის ღრიალი და არაადამიანური ხმა, რომლის გაგონებაც ასე ატანს გულ-გვაშში... არ, სახურავსაც ავალწინთ, გადავდევართ და მეორე სადარბაზოს მხრიდან ახლა თავვე ვეშვებით საფეხურებზე... ბავშვი ეცემა, ვაყენებ და ისევ მიეჭრია... ასე გავრძელდა მომდევნო ბინებშიც... ბოლოს სახანძროს (მეზობლადაა ცხადში) ეზოში შევრბივართ და... ორ მეხანძრეს ვთხოვ, რომ დაგვამალონ... შეყვართ პატარა ოთახში, რომელიც სამორიგეოცაა და მოსასვენებელიც და... ერთი

საწილის ქვეშ ბავშვს ვტენი, მეორეში მე ვძვრები... ვცახცახებ... ცოცხალი ხანში იმის მისი გაცოფებული ხმა, გადიან და უბნებთან, რომ არ აჯივინ არის... არ უფერებს და შემობრის... ვხედავ მის ფეხებს, როგორ უახლოვდება ჩემ საწილს და... არ ვიცი, რა მომდის, შიშისაგან ეს-ესაა უნდა დავკარგო გონება... თუმცა დედობრივი გრძნობა მანაც აღმტებულა მოშეც კი, და თუ რამეა, ბავშვი უნდა დავიცვა, როგორც შევძლებ ან სადამდეც შევძლებ... კიდევ ერთი-ორი ნაბიჯი და ისე ხმამაღლა ვსუნთქავ, ეს-ესაა გაიგებს, გვიპოვის და... გამეღვიძა! ოფლში ვინსურები... გული ლამის ამოვივარდეს... ვნერ ახლა ამხელა ტექსტს და ისევ ის მდგომარეობა მაქვს შინაგანად, ისეთივე სიმძაფრითა და სიცხადით... თუმცა, ეს სიზმარი მხოლოდ ერთი ნაგლეჯია იმ უზარმაზარი, ვეებრთულა განცდილედინ - ერთი პანანკინტელა ნაგლეჯი მხოლოდ... უამრავი ახლოებული ნაიკითხავს ახლა ამ წერილს, ვინც შემსწრე იყო ჩვენი ცხოვრების ისტორიიდან... ისეთებიც, ვისაც თუ არ უნახავს, გაგებული მაინც აქვს.

არ ვიცი, რა ძალამ მომცა ახლა ამის გამბედაობა, რომ ეს ყველაფერი დამენერა... ეს მხოლოდ ერთ-ერთი მორიგი სიზმარი წლების წინ განცდილ-გადატანილიდან და რამდენი ასეთი ტკივილიანი დღე მახსოვს. ცხადია, 13 წლის თანაცხოვრების განმავლობაში... ან რამდენი სიზმარი ამ 13 წლის მანძილზე... უფს!...

ყოველ საკუთარ თავთან მართლდარწინასა რომ უკუაღვებ იმ მოგონებებს და სხვა რამეზე გადავყავს ფიქრის გორგალა, სიზმრად ამას ხომ ვერ ახერხებ...

იბრძოლეთ, ქალბატონებო!!! მეუღლეებო!!! დედებო!!! შვილებო!!! თქვენნი სიცოცხლეა - ერთი სიცოცხლე და ასეთი ხანმოკლე. წუ შეგეუბნით ძალადობას (არანაირ ძალადობას!!!)

მოიშორეთ გამოუსადეგარი ფიქრები, რომ „ბავშვს მამა უნდა!“ - ბავშვს ჯანსაღი ატმოსფერო უნდა ოჯახში!!! თორემ საკუთრივ ვიცი, რომ რაც მეტს გარემოებები და დათმენი, მით მეტად გაფართოვდება შემდგომ მოგონებებად ქცეული საზარელი, საძულელი გორგალი და... ყოველ სიზმრად ან უბრალო გახსენებად ქვეშ დაგიტანთ მისი სიცხადე, რის გამოც გვიწევს ამ ყველაფრის ატანა, ადამიანებო?.. არაფრის გამო! შენ არ ხარ დამნაშავე... ეს ნყოფაცაა დამნაშავე და მენტალობაც, თუმცა „დამნაშავეც“ ის სიტყვა არაა, უფრო მახინჯი ალბათ, რომ ასეთ სიტუაციაში ადამიანებს სათანადოდ ვერ იცავს და ძალიან ხშირად მესმის მსგავსი ისტორიები ტრავმებით დამთავრებული.

აქვე იმასაც დავძენ, რომ თანდათანობით შევძელი და მოვიპოვე სიმშვიდე (რითიც დღეს ვამაყობ) და არაფრისიდეებით არ დავთმობ ვა!


წლების შემდეგ ისევ შევძელით კონტაქტი გვექონდა ჩვეულებრივად, ადამიანურად და ცივილურად, ბავშვის გამო... ცუდს ვერც ახლა ვუსურვებ და მან იცის ეს. უბრალოდ... უბრალოდ ამ ჯერზე არ მომცა სირაქლეების პოზაში ყოფნის უფლება პირდაპირი სიზმარმა...

- სულ უფრო ვრწმუნდები, რომ ვლოჯოხეთი ღმერთს არ შეუქმნია. მას ჩვენ ვქმნით - ადამიანები... ან... ..ოქნებ ვობდა, ჩვენც გადავმეზობულიყავით დიდი გამყინვარებისას დიწროზურებთან ერთად და სიცოცხლე ჩვენს გულში და გონებაში არ შევლენია. იქნებ სჯობდა, ჩვენი ნაურბუები აღმოვიჩინათ უცხოზღანეტელებს და ჩვენი ნარჩენები მუზეუმებში გამოვინათ ნარჩენით: „სიცოცხლისთვის სახიფათოა“.

იქნებ... მე ყველაფერი მახსოვს! არა ძალადობას!

შარნალისტის სვამი
უპასუხისმგებლო
ადამიანების
ბრალი

აღნიშნული კადრი რამდენიმე დღის წინ გადავიღე და გეფიცებით, ძალი შემეცოდა, რადგანაც მშვიდ ცხოველს რა მოეკითხება, ოღონდაც სადმე საკვები ნახოს. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ №1 საჯარო სკოლის წინ მსგავსი შემთხვევა პირველი არ არის. ანალოგიური მდგომარეობა №6 საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებულ ნაგვის ურნამშიც, ის, რაც ჩემ მიერ დაფიქსირებულ კადრში ჩანს, უპასუხისმგებლო ადამიანების ბრალია და არ გაბედოთ იმის თქმა, რომ ბორჯომის დასუფთავების სამსახური ცუდად მუშაობსო. ყოველ დღე, დღის 4-5 საათზე ზამთარ-ზაფხულ რომ დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები იმ ტერიტორიებს გვიან და ასუფთავებენ სადაც თქვენ ბევრჯერ სწორედაც რომ უპასუხისმგებლოდ ყრით ნაგავს სწორედ იმის ფიქრით, რომ დილით ხომ მაინც მოვლენ და დაგვიანო. რაღა უნდა გელაპარაკოთ ასეთებს? რატომ უნდა ყროდეთ საკვების ნარჩენებს თუნდაც თქვენი ღია ურნაში, რომ ცხოველმა მერე საკვების ძებნისას ასე ამოყაროს. ჰოდა კიდევ, რაც კადრში ჩანს, იმაზე უარესებიც მინახავს სწორედ არსებულ ტერიტორიაზე. მაგრამ თქვენ როგორ გეკადრებთ თქვენი „ღრმადბატივისაქემი“ მოუცლელი თავები რამდენიმე წუთით იმისთვის შეაფერხოთ, რომ მორბილ ურნასთან მიბრძანდეთ და იქ ჩაუძახოთ თქვენი ნაგავი, მაგრამ ისეთები მინახავს, ეს



მართლა მონაგონია იმასთან. მახსოვს, რამდენიმე წლის წინ სამსახურიდან ერეკლეს ქუჩაზე მოგვინა მე და ჩვენს თანამშრომლებს მისეულ და მალასართულიანი კორპუსიდან პირდაპირ ეზოში გადმოუძახეს კვერცხის ნაჭყუჭები. ჰოდა, აი კიდევ, რამდენი ადამიანის სათქმელს ვიტყვი, თუნდაც ახლაც - ცხოვრობს ადამიანი თავისთვის კორპუსში, ალაგებს, ასუფთავებს, შესანიშნავად აქვს გათავისებული და შესისხლხორცებული „საერთო და საზოგადოებრივი“ მნიშვნელობა, მაგრამ არსებობენ ისეთებიც, რომლებიც ისე დაუფიქრებლად ჩამოაფერთხავს თავზე თავის მტვერს, ჭყუჭყს, სულ არ აინტერესებს იმას შენი ნესრიგიც, დროც და „ადამიანურობაც“.

დაიხ, იქ, სადაც სხვისი არც საქმის, არც დაკარგული დროის და საერთოდ, პიროვნების ფასი არ იცინა, იმ საზოგადოებას აღარაფერი ეშველება.

ნამო მელიქიძე

ტანინეზი სალტაბაძე სპორტის პედაგოგისათვის

ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით თბილისში სალოტბარო სკოლების პედაგოგთა ტრენინგი ჩატარდა. სამი დღის მანძილზე 32 სალოტბარო სკოლის ყველა პედაგოგმა გადამზადება გაიარა.

ქართული გალობის მუსიკალური სისტემის შესახებ, პედაგოგებს გალობის უნივერსიტეტის ლექტორი დავით შულღიაშვილი ესაუბრა. გალობის სწავლების მეთოდის შესახებ კი ლექცია ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელი, გიორგი დონაძემ ჩატარა.

ხალხური სიმღერის შესახებ საჯარო ლექ-

ცია ჩატარა გალობის უნივერსიტეტის ლექტორმა მაკა ხარძიაძმა, ტრენინგის ბოლოს კი ფსიქოლოგმა ნინო ბუაძემ, სალექციო კურსი სალოტბარო ხელოვნებისა და ბავშვებთან ურთიერთობის შესახებ ტრენინგს მოიცავდა.

ფოლკლორის ცენტრის სალოტბარო სკოლები, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, 32 მუნიციპალიტეტში მოქმედებს, სადაც მოსწავლეები ქართულ მრავალმნიშვნელოვან სიმღერას და ტრადიციულ გალობას უსასყიდლოდ ეუფლებიან.

აღნიშნულ ტრენინგში მონაწილეობას ბორჯომის სალოტბარო სკოლის პედაგოგი ლელა მუხურაძე იღებდა მონაწილეობას, რომელსაც საკუთარი შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვთ:



- ვფიქრობ, ყველა პედაგოგი მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა სწავლობდეს. ყველას სჭირდება ცოდნისა და უნარების განახლება, გაუმჯობესება, რათა ფეხი აუწ-

ყოთ თანამედროვე სწავლების გამოწვევებს, მოსწავლეთა ინტერესებსა და მათ შემოქმედებით განვითარებას.

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო სალოტბარო სკოლების ტრენინგში მონაწილეობა.

მივიღე ახალი ცოდნა, რომელსაც აუცილებლად გამოვიყენებ, იყო კარგი გამოცდილება, დაეუახლოვი სხვადასხვა სკოლის ლოტბარებსა და რეგენტებს, რომელთაც გამოზიარეს საკუთარი გამოცდილება და სწავლების ახლებური მეთოდები.

მადლობას ვუხდით ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორს, გიორგი დონაძეს, რომელიც დღენიდან ზრუნავს სალოტბარო სკოლების პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

ნამო მუსხელი

